პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 25 ოქტომბერი 1978 წ. № 251 (17295) ფასი 2 კაპ.

**ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბედნიერად დაუფლეთ ცოდნას, განავითარეთ ფალ
-ლი იდეურობა! ისწავლეთ ლენინურად, კომუნისტურად ცხოვრება, ბრძოლა და ბრძოლა!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საკოქტომბრო მოწოდებებიდან.

დღეს 14 საათზე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ქალაქ თბილისის კომკავშირული აქტივის მონაწილეობით გაიმართება საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა.

მხურვალე სალამი სხდომის მონაწილეებს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიიღეს დადგენილებანი „რძის, მატყლის, ყარაკულის, ცხვრისა და თხის, კარტოფილისა და ცალკეულ სახეობათა ბოსტნეულის შესყიდვის ფასების შესახებ“ და „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ“. ამ დადგენილებათა მიზანია ამაღლდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მატერიალური დაინტერესება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით, გაეწიოთ ფინანსური დახმარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მათი ეკონომიკის განმტკიცებისათვის.

შესყიდვის ფასების შესახებ მიღებული დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ 1979 წლის 1 იანვრიდან რძისა და რძის პროდუქტების შესყიდვის ფასები საშუალოდ ქვეყანაში გადიდდეს 14 პროცენტით, ცხვრის და თხისა — 11 პროცენტით, მატყლისა — 18 პროცენტით, ყარაკულ-კრავეულის ნედლეულისა — 35 პროცენტით, კარტოფილისა — 38 პროცენტით, კიტრის, პამიდორის, ხახვის და ნივრისა — 9 პროცენტით.

შესყიდვის ფასების გადიდება ხდება საცალო ფასების შეუცვლელად.

რძის, ნაღების, ცხვრისა და თხის, კარტოფილის შესყიდვის ფასები ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების შესაბამისად დიფერენცირებულია მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ დაამტკიცონ რძის შესყიდვის ფასები ხარისხისა და ზონების მიხედვით, ცხვრისა და თხისა — ნასუქობის კატეგორიისა და ზონების მიხედვით, ხოლო კარტოფილის ფასები — ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მიხედვით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით შეიმუშაონ და სამოქმედოდ შემოიღონ 1979 წლის 1 იანვრიდან კიტრის, პამიდორის, ხახვისა და ნივრის ახალი გადიდებული შესყიდვის ფასები, რომლებიც დიფერენცირებული იქნება ზონების, შემოსვლის ვადებისა და ხარისხის მიხედვით.

სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტს დაევალა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაწილეობით შეიმუშაოს და დაამტკიცოს მატყლისა და ყარაკულ-კრავეულის ნედლეულის შესყიდვის ფასების პრეისკურანტები, ამასთან საჭიროებისამებრ გაითვალისწინოს ფასების დიფერენციაცია საქონელწარმოების ძირითადი რაიონების მიხედვით, აგრეთვე განსაკუთრებით ძვირფასი სახეობებისა და ხარისხის პროდუქციის ფასების უპირატესი მომატება.

სახელმწიფოს ხარჯები შესყიდვის ფასების აღნიშნულ გადიდებაზე შეადგენს 3,2 მილიარდ მანეთს წელიწადში გაანგარიშებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ“ დამტკიცებულია, თუ როგორ განაწილდეს მოკავშირე რესპუბლიკებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 7,3 მილიარდი მანეთის დავალიანების ჩამოწერა სსრ კავშირის სახბანკის სესხიდან, და დავალიანება, რომლის გადახდის ვადა უნდა გადაეწიოთ, — 4 მილიარდი მანეთის ოდენობით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ განსაზღვრონ თითოეულ რაიონში, ოლქში, მხარესა და ავტონომიურ რესპუბლიკაში სსრ კავშირის სახბანკის სესხით მიღებული დავალიანების ჩამოწერის ოდენობა და გადახდის ვადის გადაწევის დრო, ამასთან მხედველობაში მიიღონ ყოველი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა, და გაითვალისწინონ, რომ. უწინარეს ყოვლისა, დავალიანება ჩამოეწეროთ და დაფარვის ვადა გადაეწიოთ იმ სესხზე, რომლის დაბრუნების ვადაც დგება 1978-1980 წლებში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები კვლავაც იხელმძღვანელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის დადგენილებით, გააჩაღებენ ბრძოლას, რათა უზრუნველყონ მომჭირნეობა და ყაირათიანობა, ყოველნაირად გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და აამაღლონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა.

ელჩის მიღება

24 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ამბდელ აზიზ ამდო მუჰამედ ალ-დალი და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.

ელჩმა ა. ნ. კოსიგინს გადასცა იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ალი ნასერ მუჰამედის წერილი. (საკდესი).

ვიზიტი დამთავრდა

პრაღა, 24 ოქტომბერი. (საკდესი). ღღეს ბრატისლავიდან სამშობლოში გამოემგზავრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის დელეგაცია, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, კომიტეტის თავმჯდომარის ა. ი. პელშეს შეთაურობით ჩეხოსლოვაკიაში იმყოფებოდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვეით.

იმავე დღეს დელეგაცია მოსკოვში ჩამოვიდა.

ღირსეული საჩუქრები დიდ ოქტომბერს!

ენგურჰესი:

საათები ამუშავების წინ

ენგურჰესის ძალური კვანძის მშენებლობაზე გამოსცადეს პირველი აგრეგატის სადაწნეო მილსადენის ჰორიზონტალური ნაწილი. რთული ჰიდროძალური ნაგებობის ტექნიკურმა კვანძმა ცხადყო, რომ მზად არის წყლის დაწნევის მისაღებად.

— ახლა ჩვენი ბრიგადები, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ძალური კვანძის სამშენებლო სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ი. მისურაძემ, — ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა არ გამორჩეთ რაიმე უწესივრობა ნაგებობასა და კონსტრუქციებში. თითოეული კონსტრუქცია გათვალისწინებულია მაღალი წნევით წყლის გაშვებისათვის. ამ დღეებში სეფიან 700-მეტრიანი წყალსატარების მთელ ხაზს.

გაცხარებული მუშაობაა მიწაზეც და მიწისქვეშაც. ელექტროსადგურის სამანქანო დარბაზში სდღეღამისო გრაფიკი კონტროლს უწევს მემონტაჟეთა ყოველ ნაბიჯს. ოქტომბერი მათთვის დაძაბულია. 7 ნოემბერს ხომ № 1 აგრეგატი სამრეწველო დატვირთვით ამუშავდება. ასამუშავებელ — გასამართავი სამუშაოები დასახული ვადის გასწრებით წარმოებს. ეს შესაძლებლობას მისცემთ დაჩქარონ № 2 აგრეგატის დამონტაჟებაც.

მაგრამ ყველაფერი რიგზე როდია მემონტაჟეთა მუშაობაში. ამას მოწმობს ლურჯი ალამი, რომელიც „მუშური ესტაფეტის“ დევიზით გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების დაფასთან გამოჩნდა. № 3 აგრეგატის დამონტაჟებაზე ჩამორჩენა შეიმჩნევა. მიზეზი ის არის, რომ ხარკოვის ტურბინის ქარხანა და ცამბირის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა აფერხებენ ტურბინის კვანძების მოწოდებას. ახლა ამ აგრეგატის დროული ამოქმედების ბედი მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია ხარკოველთა და ცამბირელთა მოქმედ მუშაობაზე.

ჩქარობენ მემონტაჟენი. მათი ძირითადი ამოცანა ის არის, რომ თვის დამლევამდე მთლიანად დაამთავრონ ძალური კვანძის კოლექტორის სადაწნეო წყალსატარების გამოცდა.

თ. ჯიბუტი,
საქინფორმის კორ.

ცოტა დრო დარჩა დიდი ოქტომბრის 61-ე წლისთავის აღსანიშნავ ზეიმამდე. ჰიდრომშენებლებმა იუბილემდე დარჩენილი ყოველი დღე დამკვრელურად გამოაცხადეს. ენგურჰესის მშენებლებისა და მემონტაჟეთათვის დიდი ოქტომბრის მოახლოებული ზეიმი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ამ დღეს გათვალისწინებულია პირველი აგრეგატის ამოქმედება.

ზუსტად და აწყობილად, გრაფიკის გასწრებით შრომობენ ენგურჰესის ძალური კვანძის მშენებლები. უზარმაზარი აგრეგატის გარშემო, სამუშაო მოედნებზე ხხვადასხვა ოპერაციები სრულდება.

ხურათზე: ენგურჰესის მშენებლობის მთავარი მარკშეიდერი ჭითანავა (მარცხნივ) და უფროსი მარკშეიდერი გორგოშია.

თ. შუტკარაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლ. გ. ნიჭარაძე — სოციალისტური შრომის გმირი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 23 ოქტომბრის ბრძანებულებით სახალხო ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა და ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ გადაეცემა ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მრეწველობის მუშაკთა დიდ ჯგუფს. მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკიდან სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა **ლუბა გიორგის ასულ ნიჟარაძეს** — მესტიის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს.

მკურნალი მაღალმთიანი სვანეთიდან

საბჭოთა სინამდვილეში ყოველ პროფესიას გამოჯეთილი, იჩოვრებისეული ადგილი უჭირავს და ღირსეულადაც არის დაფასებული. მაგრამ, თუ საუბარი ექიმს შეეხება, არ შეიძლება მოწწების გრძნობით არ განმსჭვალოთ მისადმი. დიახ, ყველას გვიყვარს ადამიანის ჯანმრთელობისათვის მებრძოლი თეთრხალათიანები, სიცოცხლისა და სიკეთის მთესველნი.

პირველი სვანი ექიმი — გიორგი გაბრიელის ძე ნიჟარაძე! ბევრს სმენია ჩვენში ეს სახელი, სვანეთში მის სიკეთეზე ზღაპრივით რომ ჰყვებიან.

და აი მის კვალს გაჰყვა უმცროსი შვილი — ლუბა გიორგის ასული ნიჟარაძე. უმაღლესში სამედიცინო განათლება რომ მიიღო, ისევ სვანეთს დაუბრუნდა, მამას ამოუდგა გვერდში, როგორც კოლეგა. გადიოდა წლები, ლუბა ხალხის საყვარელ დასტაქარი გახდა. დღეს იგი მესტიის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეა, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პარტიის მესტიის რაიონული კომიტეტის წევრია.

ამ სიკეთეს ოჯახური სითბოც ერთვის. ლუბა ჩინებული დედაა, დისასხლისობასაც უძღვენ.

და აი, გუშინ რედაქციამ მოსკოვიდან მიიღო სასიხარულო ცნობა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება, სადაც ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მრეწველობის მუშაკების ერთ ჯგუფს მინიჭებულ აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მათ შორის არის მესტიის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე ლუბა გიორგის ასული ნიჟარაძე.

გუშინ „კომუნისტის“ რედაქცია მესტიაში ტელეფონით დაუკავშირდა სოციალისტური შრომის გმირ სვან ექიმ ქალს ლუბა ნიჟარაძეს. და მიუღოცა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მისი შრომის ესოდენ მაღალი დაფასება, ახალი წარმატებანი უსურვა ხალხის საყვარელ დასტაქარი.

— მართალი გითხრათ, — **ამბობს** ლ. ნიჟარაძე, — სიხარულისაგან ძალზე ვღელავ, ენა არ მემორჩილება. ჩვენს ქვეყანაში აფასებენ შრომას, რა პროფესიისაც უნდა იყოს ადამიანი, დიდი იქნება იგი თუ პატარა. ჩემთვის ესოდენ მაღალი წოდების მონიჭება მიმაჩნია რესპუბლიკის სამედიცინო დარგის მუშაკთა წარმატებად.

ვ. გაბელია.

სოციალისტური შრომის გმირი ლუბა ნიჟარაძე.

დიდ გამარჯვებას გილოცავთ, მევენახეებო!

საქართველოს მევენახეთა დიდი წარმატებით აღფრთოვანებული მშრომელები წერილებს გზავნიან რედაქციაში. მათ სიხარულს მართლაც საფუძველი აქვს — ნაცვლად 510 ათასი ტონისა დამზადებულია 515 ათას ტონაზე მეტი უურძენი, მევენახეობის ისტორიაში პირველად გადალახულია ნახევარმილიონიანი მიჯნა!

ძმანო, კახელნო!..

აღმაშენებლობა ენობამ გულრის მთებიც გადმოლახა და გული სიხარულით აგვივსო — ქართველმა მევენახეებმა სიტყვა საქმედ აქციეს, ჩვენი რესპუბლიკის ისტორიაში პირველად გადალახეს ნახევარმილიონიანი მიჯნა. ამაში დიდი დამსახურება კახეთის მეზვრეებს მიუძღვით.

ჩვენი რაიონის მეჩაიეთა სახელით, რომლებმაც სახელმწიფოს 75 ათას ტონაზე გაცილებით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიაყიდეს, სულითა და გულით გილოცავთ ამ დიდ, მამულიშვილურ გამარჯვებას.

გვახარებს ისიც, რომ მეჩაიეთა ესტაფეტა თქვენმა მტკიცე გამჯელმა ატარა და ქვეყანას, ჩვენს პარტიას შემოდგომის ტკბილი ნობათი მიუძღვენით. **განსაკუთრებით** გვახარებს ჩვენი ძმების, კახელი მევენახეების წარმატება, რომლებმაც ნაცვლად 309 ათასი ტონისა უკვე 330 ათასი ტონა ყურძენი დამზადდეს.

იმედი მაქვს, თქვენი წარმატებებით აღფრთოვანებული დასავლეთ საქართველოს რაიონების მევენახეები ესტაფეტას ღირსეულად გაგრძელებენ და მეათე ხუთწლედის მესამე წელს ჩვენი ზვრების სადიდებელს ერთად ვიტყვით.

მიხაკო ორაგველიძე,
მახარაძის რაიონის შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

გვჯერა, ამ მიჯნას არ დასჯერდებით!

ასეთი ზღაპრული როგელი საქართველოს ჯერ არ ჰქონია. ქართველ მევენახეთა დიდი გამარჯვება ყველას გვახარებს, ნახეგარმილიონიანი მიჯნა გადალახულია. კახეთმა გვასახელა. ხვალზეგ დასავლეთ საქართველო იტყვის თავის სიტყვას.

512 ათასი ტონა **ყურძენი** ქართველი მშრომელი ადამიანების მარჯვენით არის მოწეული, ყოველდღიური ალალი შრომითა და გმირული შემართებით. მამულისათვის მიცემული პირობა პირნათლად შეასრულეს ჩვენმა მევენახეებმა.

გურჯაანელთა ეტაკიური მაგალითს მხარი უჭერ მთელმა საქართველომ. დიდება ჩვენს მეზვრეებს, ჩვენს ძვირფას მეგობრებს, რომლებმაც მოგვანიჭეს ასეთი დიდი სიხარული!

გვჯერა, ამ მიჯნას **არ დასჯერდებით.**

რევაზ მარგიანი.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო პოლონეთის ელჩი

23 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში კ. ოლშევსკი.

გამართული მეგობრული საუბრის დროს განიხილეს ორივე ქვეყნისათვის საინტერესო საკითხები. (საკდესი).

ს. ვენსი მოსკოვიდან გაემგზავრა

24 ოქტომბერს მოსკოვიდან გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი საიროს რ. ვენსი.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო დროშებით მორთულ ენუკოვის აეროდრომზე ს. ვენსი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

აეროდრომზე ჟურნალისტთა წინაშე საიროს ვენსმა განაცხადა, რომ მოსკოვში გამართული საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება სასარგებლო და კონსტრუქციული იყო. მივფრინავ**რ** მოსკოვიდან, თქვა მან, მდლობას ვუძღვნი ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ა. **გრომიკოსი** და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელებს სტუმართმოყვარეობისა და გულთბილ მიღებისათვის და უწინარეს ყოვლისა დიდ მადლობას ვუხდი მოლაპარაკებისადმი მათი გულწრფელი და სერიოზული დამოკიდებულებისათვის.

როგორც კი ვაშინგტონში ჩავალ, თქვა შემდეგ სახელმწიფო მდივანმა, მოლაპარაკების შედეგებს მოვახსენებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს.

საიროს ვენსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოლაპარაკება ეხებოდა ორი ქვეყნის ყველაზე საარსებო ინტერესებს. მომავალი შეთანხმება, განაცხადა მან, სამართლიანი უნდა იყოს. ორივე მხარემ თავისი წვლილი შეიტანა ამ ამოცანის გადაწყვეტაში. (საკდესი).

დავაჩქაროთ რთველი

ვინ როგორ ასრულებს სიტყვას, ვალდებულებას

„სამტრესტის“ ცნობებით 24 ოქტომბრისათვის (ტონობით)

რაიონები	1978 წლის გეგმა	23 ოქტომბრის მიღებული	სულ მოსავალი
გურჯაანის	88000	38	114398
თელავის	61200	—	73840
ყვარლის	38000	441	51869
სიღნაღის	34000	35	43097
ახმეტის	30400	451	43776
წითელწყაროს	25100	—	26041
საგარეჯოს	24100	72	24223
მარნეულის	19000	—	19277
გოლნისის	11480	6	14100
გარდაბნის	10500	115	8974
ლაგოდეხის	8500	60	12573
მცხეთის	9050	296	10010
ხაშურის	5500	106	5480
თეთრი წყაროს	2100	—	2730
ზესტაფონის	25000	1910	11142
თერჯოლის	21000	1606	10394
მაიაკოვსკის	16000	938	9108
ვანის	15650	422	8024
საჩხერის	5800	234	2318
ამბროლაურის	3300	110	2456
დუშეთის	2100	61	856
კასპის	8100	329	2992
გორის	4070	110	1868
ქარელის	750	1	87
ახალციხის	40	—	27
ორჯონიკიძის	5500	172	977
ჭიათურის	1800	41	187
სამტრედიის	1800	78	756
წყალტუბოს	4150	192	676
წულუკიძის	700	20	142
ტყიბულის	400	31	104
ჩოხატაურის	2500	75	1261
მახარაძის	500	3	442
ლანჩხუთის	80	4	61
ბებეჭკორის	2200	57	788
ცხაკაიას	1100	28	930
ჩხოროწყუს	830	23	557
ზუგდიდის	1900	65	530
ცაგერის	4500	13	232
წალენჯიხის	900	17	25
ონის	300	9	9
აფხაზეთის ასსრ			
რესპუბლიკის	8200	383	5043
აჭარის ასსრ			
რესპუბლიკის	1800	53	1350
სამხრეთ ოსეთის ა/ო	1100	11	255

- 23 ოქტომბერს მოიკრიფა 8.620 ტონა ყურძენი.
- რესპუბლიკის მარნებმა მიიღეს 515.085 ტონა ყურძენი.
- ეს შარშანდელ ამ პერიოდს 166.392 ტონით აღემატება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1978 წლის 20 ოქტომბერს 70 წლისა გარდაიცვალა სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ წევრი 1932 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პენსიონერი

მიხეილ დავითის ძე ციხისთავი

და ხსოვნას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად

ასე იწერებოდა ბიოგრაფია

კომკავშირელთა სამი თაობის შეხვედრა „კომუნისტის“ მრგვალ მაგიდასთან

ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე ამაღლებული, მშვენიერი, რომანტიკული და განუმეორებელი ხანა სიჭაბუკეა. არ არსებობს თაობა, რომელსაც ეს დრო არ გაევლოს, მაგრამ საბჭოთა ხალხის ყველა თაობის შეხედულებებისა და მოქმედების ერთიანობა სოციალიზმის ისტორიული მონაკოვარია. ეს ერთიანობა მთელი თავისი ცხოველმყოფლობით ვლინდება 70-იანი წლების კომკავშირელების საქმიანობაში. და ეს მაშინ, როცა ლენინური კომკავშირი 60 წლისაა... კომკავშირის ბიოგრაფია, დაწყებული პაპა კორჩაგინის თაობით და დამთავრებული დღევანდელი ჭაბუკითა და ქალიშვილით, ეს თაობების ბიოგრაფიაა, რომლებიც უძნელეს პირობებში ჭედდნენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებასა და ერთიანობას.

წარმოუდგენელად დიდია ღვაწლი სამშობლოს წინაშე იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც დღეს ვეტერანებად იწოდებიან და, რომელთა ქედზე გადაიარა რევოლუციის, აღმშენებლობისა და დიდი სამამულო ომის მძიმე ტვირთმა... თაობები იცვლებოდნენ და იცვლებიან, არ იცვლება მიზანი, რწმენა. რომანტიკა, გზნება, რომელიც კაცობრიობის უკეთეს მერმისს აშენებს ჩვენს ქვეყანაში. ამიტომაც იყო ასეთი გულახდილი, სიუჟეტურით აღსავსე საუბარი ამ დღეებში „კომუნისტის“ რედაქციაში, ტრადიციული მრგვალი კაგიდის იერგვლივ, რომელსაც უსხდნენ ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხისა და პროფესიის სამი თაობის ღირსეული წარმომადგენლები. ჩვენ ვიცით, რომ ლენინურ კომკავშირს დიდი საბრძოლო და შრომითი ბიოგრაფია აქვს. საქართველოს კომკავშირის მიერ განვლილი გზა კი ამ ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია. ამიტომ ამ საზეიმო დღეებში სიტყვას ვაძლევთ შეხვედრის მონაწილეებს.

დიდი გზის დასაწყისი

ვ ო ვ ა კ ი ა ნ ი. — კომკავშირის პირველი ჩანასახი საქართველოში!... დავფიქრდებით და... წამით ჩვენ თვალწინ გაიელვებს სიმართლისა, თანასწორუფლებიანობისათვის მებრძოლი, რევოლუციის ბარიკადზე აღმართული ახალგაზრდის სახე, რომელიც სიცოცხლის ფასად იცავს მამა-პაპათა უდიდეს მონაპოვარს — ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. მტკიცე და შეუფერებელია იგი — კაცობრობის ნათელი მომავლისათვის, უკეთესი მერმისისათვის მებრძოლი...

ქრონიკა: 1917 წლის აგვისტოში პარტიის თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით შეიქმნა ეგრეთწოდებული „საინიციატივო ჯგუფი“, რომელმაც 1917 წლის 3 სექტემბერს გამართულ თავის კრებაზე დაარსებულად გამოაცხადა საქართველოს ახალგაზრდა სოციალ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“. იგი ორად წევრს ითვლიდა თავდაპირველად. 1919 წლის 31 მარტს „სპარტაკის“ თბილისის ორგანიზაციის კონფერენციამ გააერთიანა მანამდე დაქსაქსული ჯგუფები და მას „ახალგაზრდა კომუნისტების ორგანიზაცია — „სპარტაკი“ უწოდა. ასე დაიწყო საქართველოს კომკავშირის ისტორია.

არასოდეს დამავიწყდება 1920 წლის ის წვიმიანი დღე. როდესაც დაბა ხონის (ახლანდელი ქ. წულუკიძე) ერთ-ერთ უბანში ძველი „სპარტაკელების“ და ზოგიერთი ბოლშევიკის თანდასწრებით კომკავშირული ბილეთი გადმომცეს, — ამბობს ვეტერანი კომკავშირელი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი **პეტრე რატიანი.** — მაშინ „სპარტაკს“ არალეგალურად უხდებოდა მუშაობა და კომკავშირელები მალულად ვიკრიბებოდით. მახსოვს დაბის განაპირას მდებარე პატარა ფარულალა ფარდული. იქ ვსწავლობდით კომკავშირის პროგრამასა და წესებს, „ინტერნაციონალს“, „მარსელიოზას“, ჩვენს რიგებს ვავსებდით ღირსეული მუშა და გლეხი ახალგაზრდებით...

შეუძლებელია მაშინდელი კომკავშირელებისა და ახალგაზრდების ენთუზიაზმის, შემართების, კომკავშირის რიგების სიმშნიდისათვის პასუხისმგებლობის სრულად გადმოცემა. ზოგჯერ ასეთი კურიოზებიც კი ხდებოდა: ოციანი წლების მიწურული ზემო ქედის კომუნაში მიმავალს ქალთა შრომის პირობების შესასწავლად. იქ შევიტყვე, რომ კომუნის წევრ კომკავშირელ ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეჰყვარებოდათ, მაგრამ სხვები ამ კომუნიდან მათი შეუღლების წინააღმდეგი იყვნენ — ისინი ხომ ერთი კომუნის წევრები არიან და თანაც კომკავშირელები, როგორ შეიძლება მათი ქორწინებაო! მე გაგუმპარტე, რომ ამაში არაფერია დასაძრახი. როგორც იქნა, დამიჯერეს და შემდგომ ის წყვილი შეუღლდა კიდეც. ასეთი რამ თანამედროვე ახალგაზრდებს, გასაგებია. სასაცილოდ მოეჩვენებათ, მაგრამ მაშინ ასეთი გაუგებრობაც ხდებოდა...

— დიახ, ოციანი წლების მეორე ნახევარი მართლაც რომ აღსავსე იყო მრავალი საინტერესო მოვლენით, — ჩაერია საუბარში 1919 წლიდან კომკავშირელი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი **გიორგი მრელაშვილი.** — ჯერ კიდევ 1928 წლის მაისში სრულიად საკავშირო ალკკ VIII ყრილობამ მოწოდებით მიმართა ქვეყნის ყველა კომკავშირელს, ქალიშვილსა და ჭაბუკს, მაგრად ჩაეჭიდათ ხელი ტრაქტორების საკეებისათვის, წაეშალათ საზღვარი დაქუცმაცებულ ყანებს შორის, ებრძოლათ სოფლად კოლექტივიზაციისათვის.

თელავის რაიონის სოფელ იყალთოში პირველი კოლეფურნეობა 1928 წელს ჩამოვაყალიბეთ. მასში მაშინ ოცდაათამდე კომლი გაერთიანდა. მახსოვს თელაველი კომკავშირელების ენთუზიაზმი. თუმცა მერე ზოგან ამ საკითხში სერიოზული შეცდომებიც იყო და პარტიამ სავსებით სამართლიანად დაგმო კოლექტივიზაციის განხორციელების მცდარი პრაქტიკა. 1929 წელს მოსკოვის კომუნისტური აღზრდის აკადემიაში გამგზავნეს სასწავლებლად...

— წლად მხვდა ბედნიერება, 1921 წლის მაისში პარტორგანიზაციის დავალებით ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში ჩამომეყალიბებინა პირველი კომკავშირული ორგანიზაცია. იგი თავდაპირველად 7 წევრს აერთიანებდა, — ამბობს 1919 წლიდან კომკავშირელი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი **მირიან სარჯველაძე,** — ვერ წარმოიდგენთ, თუ როგორ მიხარია, რომ ის უდაბური, ეკალ-ბარდებით დაფარული ადგილები, სადაც ოციანი წლების დასაწყისში „სპარტაკის“ არალეგალურ კრებებს ვაწყობდით, ახლა საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის შედეგად ბაღნარად და ედემად იქცა, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებით დაიფარა.

— მე კი, 1917 წელს ჯულფის (ახლანდელი აზერბაიჯანის სსრ, ნახჩევანის ასსრ) რკინიგზის სადგურში ვმუშაობდი ტელეგრაფისტად, ჩემთან ერთად იქ იყო ბოლშევიკი კ. მასხულიაც, რომელიც 14 წლის ჭაბუკს ხშირად მესაუბრებოდა რევოლუციაზე, ლენინზე, ბოლშევიკებზე... გუშინდელივით მახსოვს ის დღე და იმ ბოლშევიკის გახარებული სახე, როდესაც პეტერბურგიდან ტელეგრაფით მივიღეთ დეპეშა: „ყველას, ყველას, ყველას...“ იგი გვაცუბობნებდა, რომ რევოლუციურად განწყობილმა ძალებმა დამხეს მეფის ტახტი, — იხსენებს კომკავშირელი 1921 წლიდან **ევგენი კვინიკაძე,** — მალე მამასთან ერთად ქვლავ დავბრუნდი საცხოვრებლად შორაპანში. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მრავალ ადგილას მომუშავეთ. ბევრი ჭირ-ვარამი თუ ხანა მოგეფინა მოგემია, მაგრამ კომკავშირში ყოფნის პერიოდი ჩემი ცხოვრების ყველაზე საამაყო ფურცელია.

— დიახ, ცნობამ მეფის ტახტის დამხობის შესახებ, შემდეგ კი დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ, უსაზღვროდ აღაფრთოვანა და დარაზმა საქართველოს რევოლუციურად, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, — ჩაერია საუბარში კომკავშირელი 1918 წლიდან, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ილია ლეფხავა.**—სამტკრეფიელი „სპარტაკელები“, რომლებსაც ვანო სტურუა ხელმძღვანელობდა, ბოლშევიკების მეთაურობით აქტიურად ვემზადებოდით. ხალხს ვრაზმავდით, ავიტაციას ეწეოდით მეწმენეკური მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლისათვის, ვქმნიდით პარტიზანულ რაზმებს... 1920 წლის გაზაფხულზე მეც ვიყავი ერთ-ერთი ასეთი პარტიზანული რაზმის წევრი, რომელსაც კომუნისტი ტრიფონ ახობაძე ხელმძღვანელობდა. ჩვენს რაზმს, რომელიც ეხეინისწყლის პირას ტყეში იყო განლაგებული, სამტრედიაში მენშეოეკური ხელისუფლების დამხობა ჰქონდა დავალებული. ეს გამოსვლა არ შედგა და მენშეოეკებმა, ვინც კი მოიხელთეს, დასაჯეს. მე გიმშაზიიდან გამრიცხეს და დამაპატიმრეს...

სახელოვან ტრადიციებზე

ს ი ო ნ ი ა ნ ი. — ბრძოლეებთან ჭიდილში, თავდადებულ შრომასა და ბრძოლაში ფოლადივით იწრთობოდა ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაცია. არ დარჩენილა საქართველოს რომელიმე კუთხე, მისი სახალხო მეურნეობის ხელოვნების, კულტურის თითქმის არც ერთი დარგი, სფერო, უბანი, რომელთა განვითარებაში თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი არ შეეტანოთ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან ქალიშვილებსა და ჭაბუკებს.

ქრონიკა: 1938 წლისათვის საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია თავის რიგებში 220 ათასზე მეტ კომკავშირელს აერთიანებდა.

— **ალბათ** ამ რამდენიმე წლის წინათ გ. ტერეშკოვას კოსმოსში გაფრენა ისე არ გაჭკვირვებიათ, როგორც 1937 წელს საქართველოს ალკკ სიღნაღის რაიკომის მდივნად ჩემი არჩევა გაუკვირდათ, — სიცილით ამბობს კომკავშირელი 1925 წლიდან, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი **მარგალიტა ჭურცაკიძე.** — ზოგს არც კი სჯეროდა, თუ ქალი რაიკომის მდივნად იმუშავებდა. ერთი ასეთი შემთხვევა მახსოვს:

რაიკომის მდივნად ახალარჩეული სამუშაო კაბინეტში ოქმებს ვათვალიერებდი... უცებ კარი ერთმა ახალგაზრდა მეცხვარემ შემოაღო და უცერემონიოდ რამდენიმეჯერ თავიდან ფეხებამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

დავიბენი. ვინ ბრძანდებით, რა გნებავთ-მეთქი, ვკითხე.

— არაფერი, მე სოფელ ბოდბედან ვარ, გავიგე, რაიკომის მდივნად ქალი დაუნიშნავთო და მინდოდა გამეგო მართალი იყო თუ არაო, — მითხრა და კარი გაიხურა...

თავდაპირველად მართლაც მიჭირდა, სოფლებში უნდობლად მიყურებდნენ. მერე შევეჩვიე საქმეს. ძალიან ნაფერალი, ალალი, ეკეკაცური და მოყვარული იყო მაშინდელი ახალგაზრდობა. დღეგამოდგა მათთან ერთად ვიყავი მინდორებში, ფერმებში, მათ მხარდამხარ ვგრომობდი. მათაც გამიგეს, შემოყვარეს. ახლაც სიხარულს ცრემლის მომგვრელი სითბოთი მახსენდება ერთი ფაქტი: პურეულის კალოზე ჩამინიფეთა მუშაობით დაღლილ-დაქანცულს. ძილბოერანში ჩამესმა ერთი ახალგაზრდის ხმა — „ნუ აღრიალებ, ბიჭო, მაგ ტრაქტორს. მაროს ჩასძინებიაო“ და ნაბადი მზრუნველად შემოსწორა...

არა, ნამდვილად შეუძლებელია მაშინდელი ახალგაზრდული რომანტიკისა და გზნების დავიწყება. თუმცა თანამედროვე ახალგაზრდები ამაშიც არ ჩამოგვრჩებიან. მით უკეთესი. ნათქვამია, „ის ურჩევნია მამულსაო“...

— მართლაც რომ შეუძლებელია ამის დავიწყება, — სიტყვა ჩამოართვა მ. ქურციკიძეს რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურმა პენსიონერმა **აშოტ პეტროსიანმა.** — მე თბილისში დავიბადე. კომკავშირში 1924 წელს მივიღეს და მაშინდელ 78-ე შრომითს სომხურ სკოლაში ერთადერთი კომკავშირელი ვიყავი, მას შემდეგ ბევრგან მიმუშავია, ძალიან ბევრი რამ მინახავს და განმცდია, მაგრამ ყველაზე მეტად სწორედ მაშინდელი კომკავშირელებისა და ახალგაზრდების მტკიცე რწმენა პარტიისადმი, ნათელი მომავლისადმი, მათი უდიდესი შრომითი ენთუზიაზმი და შემართება დამახსოვრდა, რომელიც ნათელ მაგალითად გამოადგება ყველას...

აღმშენებლობითს, შემოქმედებითს შრომაში გადიოდა წლები. საქართველოს ახალგაზრდობა ჩვენი ქვეყნის ქალაქებისათან და ჭაბუკებთან ერთად, საბჭოთა მშრომელების, მათი ავანგარდის — კომუნისტების მხარდამხარ თავდადებით იღვწოდა, თავიხი ღირსეული, უპრეტენზიო წვლილი შეჰქონდა ნათელი მომავლის მშენებლობაში... მერე კი, ყორანივით შავი ღრუბლები ჩამოწვა საბჭოეთის ნათელ ცაზე.

ქრონიკა: დიდი სამამულო ომის წინ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია 280 ათასამდე ახალგაზრდას აერთიანებდა. მათგან 160 ათასამდე ახალგაზრდა სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდა. ბევრი მათგანი შეეწირა სამშობლოს.

„ჩვენ შეიძლება ბრძოლებში მოვკვდეთ, მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს“... პოეტის ამ სიტყვებისა არ იყოს, ისინი დაიღუპნენ სამშობლოსათვის, რათა შემდგომ მადლიერი შთამომავლობის გულში ხელახლა დაბდებულნი და მარად ახალგაზრდებად დარჩენილნ, არასოდეს მიჰკარებოდათ სიკვდილისა და დავიწყების სუსხი.

— საბჭოთა არმიის რიგებში, როგორც ოფიცერი, 1939 წელს გამიწვიეს,—ამბობს რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-40 სკოლის პედაგოგი **გიორგი მდივნიშვილი,**—ვმონაწილეობდი სამშობლოსათვის დასაცავ უკრაინის შემოერთების ოპერაციებში. დიდმა სამამულო ომმა თელავის რაიონის სოფელ რუისპირის საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობისას მომისწრო. ფრონტზე უმრავლესობის მსგავსად, მოხალისედ წავედი. სხვადასხვა ადგილას ვიბრძოდი, დარიალის ხეობის დაცვის მონაწილეც ვარ, როგორც ასეულის მეთაური. მაგრამ განსაკუთრებით ის მეამაყება, რომ ვიბრძოდი სახელოვანი მე-18 არმიის რიგებში, რომელსაც სარდლობდა ჩვენი სასიქადულო მამუღაშვილი კონსტანტინე ლესელიძე, ხოლო არმიის პოლიტგანყოფილებას უფროსი იყო ჩვენთვის ყველასთვის საყვარელი და პატივსაცემი ადამიანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. ისიც მეამაყება, რომ ნოვოროსიისკს, რომლისათვის ბრძოლებში მეც ვმონაწილეობდი, ამ რამდენიმე წლის წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გმირი ქალაქის სახელი მიენიჭა.

— დენონის სუნი მეც სამამულო ომის დაწყებამდე, თეთრფინელებთან ბრძოლაში ვიყნოსე, — თქვა კომკავშირელმა 1935 წლიდან, თბილისის 55-ე საშუალო სკოლის პედაგოგმა **გაიოზ რუსიშვილმა.** — დიდ სამამულო ომში პირველი ნათლისა 1941 წლის 5-6 ივლისს მივიღე ლატვიაში, ქალაქ რეჟიცასთან. შემდეგ გაუთავებლად გადაება ერთმანეთს 1418 საშინელი დღე-ღამე. ამ ოთხი მძიმე წლის განმავლობაში ბევრჯერ დავიჭერი, ჩემი მარჯვენა თვალიც ომმა შეიწირა... დემობილიზაციის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე განვაგრძე სწავლა და მოსწავლეებს, ბევრ სხვა მნიშვნელოვან რამესთან ერთად, შეძლებისდაგვარად მშვიდობის, ნათელი, ულრუბლო ცის სიყვარულსაც ვასწავლი...

